

დოკუმენტის დასახელება მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი	დოკუმენტის ტიპი ჯგუფის პოლიტიკა	ვერსია: 1.1
დადასტურებულია: მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	დოკუმენტის მფლობელი აღმასრულებელი დირექტორი	დადასტურების თარიღი 10-02-2022



## მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი

დოკუმენტის დასახელება მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი	დოკუმენტის ტიპი ჯგუფის პოლიტიკა	ვერსია: 1.1
დადასტურებულია: მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	დოკუმენტის მფლობელი აღმასრულებელი დირექტორი	დადასტურების თარიღი 10-02-2022



## სარჩევი

### Contents

1	შესავალი .....	3
2	მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსის მიზანი.....	3
3	მედიკავერის ურთიერთობა სხვა მომწოდებლებთან .....	3
3.1	შრომითი და ადამიანის უფლებებიჯანმრთელობა და უსაფრთხოება .....	3
	გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებები.....	4
	შევიწროება და დისკრიმინაცია.....	4
	სამუშაო საათები .....	4
	კომპენსაცია .....	4
3.2	გარემო .....	5
	სისტემატური გარემო პასუხისმგებლობა.....	5
	სიფრთხილის ზომები .....	5
	პრინციპი „ვინც აბინძურებს, ის იხდის“ .....	5
	სიცოცხლის ციკლის ანალიზი.....	5
3.3	კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა .....	5
3.4	კონკურენციის შესახებ კანონი .....	5
3.5	ფულის გათეთრების და ტერორისტების დაფინანსების თავიდან აცილება.....	6
3.6	ხარისხის მოთხოვნები.....	6
3.7	ინფორმაციის უსაფრთხოება.....	6
3.8	პერსონალური მონაცემების დამუშავება .....	6
4	ვერიფიკაცია .....	6
5	შესრულება.....	6
6	ანგარიშის ჩაბარება .....	7

დოკუმენტის დასახელება მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი	დოკუმენტის ტიპი ჯგუფის პოლიტიკა	ვერსია: 1.1
დადასტურებულია: მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	დოკუმენტის მფლობელი აღმასრულებელი დირექტორი	დადასტურების თარიღი 10-02-2022



## 1 შესავალი

მედიკავერ ჯგუფი (Medicover AB (publ) და მისი ფილიალები) (“მედიკავერი” ან “კომპანია მედიკავერი”) იცავს ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებს, შრომით უფლებებს, გარემოს და იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ მისი საქმიანობის განხორციელებისას.

## 2 მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსის მიზანი

მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსის მიზანია (შემდგომში მომწოდებლის ქცევის კოდექსი) მომწოდებლებთან გამართოს დიალოგი და დაამყაროს ურთიერთობები, რათა მომწოდებლების მხრიდან უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო ბილის, სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების შესახებ ILO-ს დეკლარაციის, გარემოს დაცვაზე და განვითარებაზე რიოს დეკლარაციის, კორუფციის შესახებ გაეროს კონვენციის (გაეროს გლობალური შეთანხმების მიხედვით), მულტიეროვნული საწარმოების შესახებ OECD გაიდლაინების და გაეროს სახელმძღვანელო ბიზნესის და ადამიანის უფლებების საკითხებში მიღება და დაცვა.

## 3 მედიკავერის ურთიერთობა სხვა მომწოდებლებთან

მედიკავერი ისწრაფვის დაამყაროს გრძელვადიანი და სტაბილური ურთიერთობები მომარაგების მთელ ბაზასთან, მათ შორის საქონლის და მომსახურების მომწოდებლების, კონტრაქტორების, დისტრიბუტორების და აგენტების ჩათვლით (შემდგომში წოდებული როგორც მომწოდებლები), მათთან თანამშრომლობის საფუძველზე, ჩვენ სისტემატურად ვავითარებთ პროდუქტებს და მომსახურებას. წინამდებარე მომწოდებლის ქცევის კოდექსი ეხება ყველა ტიპის ბიზნეს ურთიერთობას მედიკავერსა და მის მომწოდებლებს შორის. მედიკავერი იმედოვნებს, რომ ყველა მომწოდებელი ბიზნესს აწარმოებს პასუხისმგებლობით და სტაბილურად. მომწოდებლებმა უნდა დაიცვან ის კანონები და რეგულაციები, რომელიც მათ საქმიანობას ეხება და მედიკავერი ასევე იმედოვნებს, რომ მომწოდებლები და ქვემომწოდებლები დაემორჩილებიან წინამდებარე მომწოდებლის ქცევის კოდექსს, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული კოდექსი უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს, ვიდრე კანონი.

მედიკავერი მომწოდებლებსგან მოელის შემდეგს:

### 3.1 შრომითი და ადამიანის

#### უფლებებიჯანმრთელობა და

#### უსაფრთხოება

გამოავლინოს და შეაფასოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები და მინიმუმამდე დაიყვანოს მისი ზემოქმედება, საგანგებო გეგმების შესრულებით.

უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელი დაცულია ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საშიშროების ქვეშ დაყენებისგან.

უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელი აღჭურვილი იყოს შესაბამისი და მოქმედი პერსონალური დამცავი აღჭურვილობით.

განახორციელოს და დანერგოს ისეთი პროცედურები და სისტემები, რომელიც დაეხმარება საწარმოო დაზიანების და დაავადებების მართვაში, აღრიცხვაში და ანგარიშების შედგენაში.

უზრუნველყოს, რომ შესაბამისი პირველადი დახმარების ნაკრები ადვილად ხელმისაწვდომია.

დოკუმენტის დასახელება მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი	დოკუმენტის ტიპი ჯგუფის პოლიტიკა	ვერსია: 1.1
დადასტურებულია: მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	დოკუმენტის მფლობელი აღმასრულებელი დირექტორი	დადასტურების თარიღი 10-02-2022



უზრუნველყოს, რომ პერსონალმა არ იმუშაოს ნარკოტიკების ან/და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ.

### **გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებები**

დაიცავით გაერთიანების თავისუფლება და აღიარეთ თანამშრომლების უფლება კოლექტიურ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით.

### **ნულოვანი ტოლერანტობა ზავშვთა შრომისა და იძულებითი შრომის**

**მიმართარ** გამოიყენოს ზავშვთა შრომა და არც ხელი შეუწყოს აღნიშნულს.

დანერგოს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ზავშვებს არ ამუშავებენ, ყველა თანამშრომლის ასაკის შესაძლებელი დოკუმენტების სისტემატური გადამოწმების ჩათვლით. სამუშაოზე აყვანის მინიმალური ასაკია 15 (ან 14, თუ ნებადართულია ადგილობრივი ფასდაკლება).

დაიცვას ყველა ახალგაზრდა თანამშრომელი (18 წელზე ქვემოთ) ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც საზიანოა და არ დართოს ნება იმუშაონ ღამის ცვლაში.

არ ისარგებლოს ან ხელი შეუწყოს ნებისმიერი ფორმის იძულებით, ვალდებულებითი ხასიათის ან უკანონო შრომას, მათ შორის ტრეფიკინგი, ციხეზე მუშაობის ან კაბალური შრომის ჩათვლით.

უზრუნველყოს, რომ ზეგანაკვეთური სამუშაო ნებაყოფლობითია და შეესაბამება ადგილობრივ კანონმდებლობას.

თანამშრომლებისგან არ მოითხოვოს ორიგინალი პირადი სერტიფიკატების ან საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გადაცემა.

არ მიმართოს დისციპლინარულ სასჯელს, როგორცაა ფინანსური სახის ჯარიმები, მაგ. ხელფასიდან უსამართლო ან უკანონო დაქვითვა.

### **შევიწროება და დისკრიმინაცია**

არ დაუშვას რაიმე სახის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შევიწროება ან შეურაცხყოფა.

მოერიდოს დისკრიმინაციას სამუშაოზე აყვანისას და დასაქმების პროცესის დროს, მაგალითად დაწინაურებისას, ბენეფიტების გაცემისას და ტრენინგზე წვდომისას.

### **სამუშაო საათები**

უზრუნველყოს, რომ სამუშაო საათები შეესაბამება ადგილობრივ კანონმდებლობას, ILO კონვენციებს ან კოლექტიურ შეთანხმებას, იმის მიხედვით, რომელიც უკეთესად დაიცავს მუშაკს.

უზრუნველყოს, რომ სამუშაო საათები დაყოფილია, ადგილობრივი კანონის მიხედვით, ნორმალურ სამუშაო საათებად და ზეგანაკვეთურ საათებად და არ აჭარბებს ადგილობრივი კანონმდებლობის მიერ დადგენილ მაქსიმუმს.

### **კომპენსაცია**

მინიმუმ დაემორჩილოს ხელფასებთან დაკავშირებულ ადგილობრივ კანონმდებლობას, მათ შორის მინიმალური ხელფასი, ზეგანაკვეთური საათები და შესაბამისი ბენეფიტები, ქვეყნის გათვალისწინებით.

დოკუმენტის დასახელება მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი	დოკუმენტის ტიპი ჯგუფის პოლიტიკა	ვერსია: 1.1
დადასტურებულია: მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	დოკუმენტის მფლობელი აღმასრულებელი დირექტორი	დადასტურების თარიღი 10-02-2022



### 3.2 გარემო

#### სისტემატური გარემო პასუხისმგებლობა

გარემოს დაცვის პასუხისმგებლობას მიუდგეს სისტემურად და სრულფასოვნად ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმიანობის გავლენებზე გარემოზე. წარმოებაში და პროდუქტების კუთხით დაიცავს ყველა შესაბამისი გარემო სტანდარტი.

#### რისკის მართვა

შექმნას და დანერგოს რისკების შეფასებაზე აგებული პროგრამა, კომპანიის საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის აღკვეთა ან შემცირება.

#### სიფრთხილის ზომები

მიიღოს სიფრთხილის ზომები როგორც კი გაჩნდება ისეთი მიზეზი, რამაც შეიძლება გარემო დააზიანოს.

#### პრინციპი „ვინც აზინპურებს, ის იხდის“

გადაიხადოს სოციალური და ეკონომიკური ხარჯები, რაც დადგება კომპანიის დაწესებულებების მიერ გარემოს დაზიანების შედეგად.

#### სიცოცხლის ციკლის ანალიზი

სიცოცხლის ციკლის პერსპექტივიდან გამომდინარე, ინფორმაციას უნდა ფლობდნენ მათი პროდუქტების და სერვისების ზეგავლენა გარემოზე.

### 3.3 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

გამოავლინოს ნულოვანი ტოლერანტობა ნებისმიერი ფორმის კორუფციის მიმართ, მათ შორის გამოძალვა, ქრთამის აღება და მიცემა, მაღლიერების ნიშნად გადახდა, ინტერესტთა კონფლიქტი, მითვისება ან ნეპოტიზმი/კრონიზმი.

დანერგოს ისეთი პროცესები, რომელიც თავიდან აიცილებს კორუფციას მაგ. ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარებით და პერსონალის შესაბამისი ტრენინგით.

გაითვალისწინეთ, რომ მედიკავერი არ მიიღებს მედიკავერის თანამშრომლისთვის განკუთვნილ რაიმე სახის ბონუსს/სარგებელს, რაც მიზნად ისახავს მომწოდებლის საქმიანობის გამარტივებას მედიკავერთან.

მედიკავერს აცნობოს თუ, შესყიდვასთან ერთად არსებობს რაიმე სახის პირადი ურთიერთობა (ოჯახური ურთიერთობებში, პირადი მეგობრობა და ა.შ) მედიკავერში შესყიდვებზე პასუხისმგებელ პირსა და შესყიდვის პროცესში მონაწილე მომწოდებლების წარმომადგენლებს შორის.

### 3.4 კონკურენციის შესახებ კანონი

პატივი სცეს და დაემორჩილოს ყველა მოქმედ კანონს და რეგულაციას, დანერგოს სისტემები კონკურენციის შესახებ კანონის დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

დოკუმენტის დასახელება მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი	დოკუმენტის ტიპი ჯგუფის პოლიტიკა	ვერსია: 1.1
დადასტურებულია: მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	დოკუმენტის მფლობელი აღმასრულებელი დირექტორი	დადასტურების თარიღი 10-02-2022



### 3.5 ფულის გათეთრების და ტერორისტების დაფინანსების თავიდან აცილება

უზრუნველყოს, რომ კომპანიის საქმიანობას ააცილოს ფულის გათეთრების ან ტერორისტების დაფინანსების მიზნით გამოყენება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ფლობდეს სრულფასოვან ინფორმაციას მის კლიენტებზე, პარტნიორებზე და მომწოდებლებზე, ასევე იცოდეს შესაბამისი საქმიანი ურთიერთობის მიზანი.

### 3.6 ხარისხის მოთხოვნები

დაიცვას ზოგადად აღიარებული ან კონტრაქტით შეთანხმებული ხარისხის მოთხოვნები. უზრუნველყავით, რომ ხარისხის მოთხოვნები ვრცელდება მომწოდებლის საქმიან პროცესებზე, ისეთი საქონლის და მომსახურების მისაღებად, რომელიც მუდმივად აკმაყოფილებს მედიკავერის მოთხოვნებს.

### 3.7 ინფორმაციის უსაფრთხოება

მედიკავერისგან მიღებულ ინფორმაციას მიუდგეს უსაფრთხოდ და კონფიდენციალურად შენახვის შეთანხმების შესაბამისად, ასევე მოქმედი ბაზრის ბოროტად გამოყენების შესახებ კანონის გათვალისწინებით.

უზრუნველყოს, რომ ინფორმაცია არ მიეწოდება არაუფლებამოსილ პირებს. შემოთავაზებების შინაარსი, კვლიერება და შეთანხმებები კონფიდენციალური ხასიათისაა.

### 3.8 პერსონალური მონაცემების დამუშავება

პერსონალური მონაცემები დაამუშაოს პერსონალური მონაცემების შესახებ კანონის თანახმად.

პატივი ეცით რეგისტრირებული პირის პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის უფლებას პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაშინ, როდესაც პირადი მონაცემების გადაცემა ხდება მესამე ქვეყნებში ან თუ დამუშავება მოიცავს პერსონალური მონაცემების სპეციფიკურ კატეგორიებს.

მიიღოს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მონაცემების დამუშავების უსაფრთხოების დონე შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

მედიკავერს დაუყოვნებლივ აცნობოს, თუ რაიმე შემთხვევა მოხდა პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მედიკავერის მიერ მომწოდებლისთვის გადაცემულ პერსონალურ ინფორმაციას.

## 4 ვერიფიკაცია

რომ მოხდა მიმწოდებლის ქცევის კოდექსის დარღვევა ან ემუქრება Medcover-ს ან Medcover-ს მიერ წარდგენილ მესამე მხარეს, მიეცემათ ინფორმაცია და წვდომა, რომელიც საჭიროა ფაქტების შესამოწმებლად.

## 5 შესრულება

ყველა მომწოდებელმა უნდა მიიღოს მომწოდებლის ქცევის კოდექსი და იღონოს ყველაფერი, რათა უზრუნველყოს, რომ მათმა ქვემომწოდებლებმაც მიიღონ აღნიშნული. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მედიკავერის ქცევის კოდექსში და მედიკავერის მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკაში [www.medicover.com/sustainability](http://www.medicover.com/sustainability).

დოკუმენტის დასახელება მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი	დოკუმენტის ტიპი ჯგუფის პოლიტიკა	ვერსია: 1.1
დადასტურებულია: მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	დოკუმენტის მფლობელი აღმასრულებელი დირექტორი	დადასტურების თარიღი 10-02-2022



## 6 ანგარიშის ჩაბარება

მომწოდებლები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ მედიკავერს მომწოდებლის ქცევის კოდექსთან ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ. მომწოდებლებს ან მათ თანამშრომლებს შეუძლიათ კონფიდენციალურად კონფიდენციალურად აცნობონ შემდეგ მისამართზე: [supplier@medicover.com](mailto:supplier@medicover.com)

---

დოკუმენტის დასახელება მედიკავერის მომწოდებლის ქცევის კოდექსი	დოკუმენტის ტიპი ჯგუფის პოლიტიკა	ვერსია: 1.1
დადასტურებულია: მედიკავერის დირექტორთა საბჭო AB (publ)	დოკუმენტის მფლობელი აღმასრულებელი დირექტორი	დადასტურების თარიღი 10-02-2022



### ვერსიის ისტორია

ვერსია	დადასტურების თარიღი	ავტორ(ებ)ი
1.0	28.11.2018	შესყიდვების და მომარაგების ქსელის მიმართულების ხელმძღვანელი

### დოკუმენტის დეტალები

ავტორ(ებ)ი	პოზიცია	თარიღი	ხელმოწერა
	შესყიდვების და მომარაგების ქსელის მიმართულების ხელმძღვანელი (Angelina Wijnen)	19.11.2018	

### ავტორიზაცია

ავტორიზებულია	პოზიცია	თარიღი	ხელმოწერა
	აღმასრულებელი დირექტორი (Fredrik Rågmark)	19.11.2018	
ხელმოწერილია	არ არის მოცემული		